თსუ–ს კონკურენტული გარემო

და

ძირითადი პრობლემები

გამოკითხვებისა და მეორადი ინფორმაციის ანალიზი

ანალიზის ავტორები:

- ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულების სრული პროფესორი, აკადემიური საბჭოს წევრი ქეთევან მარშავა
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნინო დურგლიშვილი

თბილისი, 2011 წ.

კვლევის მიზნები:

- იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც არსებითად ზემოქმედებს თსუ–ის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების ფორმირებაზე;
- უმაღლესი განათლების სისტემის კონკურენტული გარემოს ანალიზი;
- ჭარბი და დეფიციტური კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების გამოვლენა;
- თსუ–ში მიღებული განათლების მიმართ არსებული მოლოდინებისა და მოთხოვნების იდენტიფიცირება;
- თსუ–ს კონკურენტული უპირატესობების იდენტიფიკაცია;
- დასაქმების მოთხოვნილება;
- რეკომენდაციების შემუშავება უმაღლესი განათლების ბაზარზე თსუ–ს; კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.

რეკომენდაციები:

უმაღლესი განათლების ბაზარზე თსუ–ს კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, განსაკუთრებით აქტუალურია:

- სასწავლო პირობების გაუმჯობესება;
- აკადემიური პერსონალის მოტივაციის გაზრდა;
- შიდა საკომუნიკაციო სისტემის დახვეწა;
- განათლების ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმების დახვეწა;
- განათლების ხარისხის გარე შეფასებაზე ადეკვატური რეაგირება;
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების დახვეწა;
- განათლების ბაზრის კომპლექსური კვლევა;
- შრომის ბაზრის კომპლექსური კვლევა;
- სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში შრომის ბაზრის მოთხოვნების მაქსიმალური გათვალისწინება;
- კომპეტენციების მნიშვნელობის შეფასება შრომის ბაზრის ახლანდელი და მოსალოდნელი მოთხოვნების შეფასებისას;

– უკუკავშირი შრომის ბაზართან – კავშირი შრომის ბაზართან არ უნდა იყოს ცალმხრივი: დამსაქმებლისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია კონსულტაცია: ხშირია შემთხვევა, როდესაც იგი სწორედ უნივერსიტეტიდან იღებს ინფორმაციას მეცნიერების ინოვაციური მიღწევების შესახებ და ავლენს მისი დანერგვის, ანუ ახალი პროდუქტის – მისთვის აქამდე უცნობი კომპეტენციებით აღჭურვილი კურსდამთავრებულის დასაქმების მზაობას.

შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

- შრომის ბაზრის კვლევა აუცილებელია როგორც კურიკულუმის შემუშავების, ისე პროგრამის განხორციელებისა და მისი შემდგომი დახვეწის/სწრაფადცვალებად პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში;
- შრომის ბაზრის კვლევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიზნობრივი სეგმენტის ადეკვატურად იდენტიფიცირება;
- საქართველოს შრომის ბაზარზე, რომელიც ახლა ფორმირების პროცესშია, ხშირია სიტუაციური ხასიათის, არამდგრადი მოთხოვნები, როდესაც სპონტანურად იზრდება მოთხოვნა გარკვეული კომპეტენციის მიმართ – ასეთ სიტუაციაში აუცილებელია შრომის ბაზრის ყოველი მოთხოვნის მდგრადობის/პერსპექტივის საფუძვლიანი შეფასება;
- **როდესაც პროგრამას ჯერ კურსდამთავრებული არ ჰყავს, რეკომენდებულია კომპეტენციების კვლევა დამსაქმებლებისა და შესაბამის სფეროში დასაქმებული პირების გამოკითხვის საფუძველზე.**

კონკურენტული გარემოს ზოგადი ანალიზი

- ***უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში კორუფციის აღმოფხვრის შემდეგ, უსდ–ების ძირითად პრობლემას წარმოადგენს არა უცოდინარობა, არამედ, სწავლის შედეგების, ე. ი. შეძენილი ცოდნისა და უნარ–ჩვევების არაადეკვატურობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან:*** შემთხვევები, როდესაც კურსდამთავრებულს აქვს მრავალფეროვანი ცოდნა და უნარ–ჩვევები, მაგრამ გაუგებარია, რაში შეიძლება გამოიყენოს იგი, ხოლო იმ ცოდნასა და უნარ–ჩვევებს, რაც სამუშაოზე სჭირდება, „ადგილზე“ იძენს, იმდენად

ტიპიურია, რომ ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ხანგრძლივი უხელფასო სტაჟირებები დაბალკვალიფიციურ პოზიციებზე (როდესაც უსდ–ს კურსდამთავრებული შუა საუკუნეების უუფლებო შეგირდის როლშია), საკუთარ სპეციალობაშივე გადასამზადებელი კურსები (სადაც სწორედ იმას ასწავლიან, რაც კურსდამთავრებულს დიპლომში დაფიქსირებული კვალიფიკაციის მიხედვით, უსდ–ში უნდა ესწავლა) და ა. შ.

- განათლებისა და შრომის ბაზრებზე მოთხოვნათა მკვეთრი რაოდენობრივი დაპირისპირება – უკიდურესად მაღალი მოთხოვნა უმაღლეს განათლებაზე (იხ. გრაფიკი N1) და უკიდურესად დაბალი მოთხოვნა უმაღლესდამთავრებულებთა დასაქმებაზე – დაპირისპირებათა მთელ კომპლექსს განაპირობებს, რომელთა შორის ერთ–ერთი ძირითადია ის, რომ
  უსდ–ების მიმართ მაღალია განათლების ბაზრის აქტორების (აბიტურიენტები, სტუდენტები, მათი მშობლები, უსდ–ების პერსონალი და ა. შ.) ლოიალობა და მკვეთრად ნეგატიურია შრომის ბაზრის აქტორების (დასაქმების მაძიებლები, დასაქმებულები, დამსაქმებლები და ა. შ.) დამოკიდებულება, რაც, თავის მხრივ, უსდ–ებისა და უსდ–ებში მიღებული ცოდნის ხარისხისა თუ მნიშვნელობის შეფასებას ართულებს. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განათლების ხარისხის შეფასების გარე მექანიზმები და როგორც საგანმანათლებლო, ისე შრომის ბაზრის კომპლექსური ხასიათის კვლევები.

განათლებისა და შრომის ბაზრების ურთიერთდამოკიდებულება

- სამუშაო ადგილების სიმცირის გამო, შრომის ბაზარი ნაკლებად ახდენს კანონზომიერ გავლენას განათლების ბაზარზე, აქედან გამომდინარე, *უსდ–ები ძირითადად განათლების ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირებენ და ნაკლებად აცნობიერებენ, რომ ეს მოთხოვნა, მართალია, მასშტაბურია, მაგრამ სტერეოტიპულ, ინერციულ და, აქედან გამომდინარე, სიტუაციურ ხასიათს ატარებს და შრომის ბაზრის იმ სეგმენტის მოთხოვნების იგნორირების გამო, რომელიც მცირერიცხოვანი, მაგრამ კანონზომიერი და პროგრესულია, გრძელვადიან პერსპექტივაში, გაუმართლებელ რისკზე მიდიან – რაც უფრო მეტ შრომის ბაზრის არაადეკვატურ კურსდამთავრებულს გამოუშვებენ, მით უფრო მეტი საფრთხე დაემუქრება მათ არა მხოლოდ იმიჯსა და პოზიციას, არამედ არსებობასაც კი, მით უფრო, იმ ფაქტის ფონზე, რომ საზოგადოებაში კანონზომიერად იზრდება მოთხოვნა დასავლურ განათლების დიპლომზე, განსაკუთრებით, სწავლების მეორე საფეხურიდან.*

- *ამჟამად განათლებისა და შრომის ბაზრების ურიერთქმედება სპონტანურ და ლატენტურ ხასიათს ატარებს, რაც თითოეულ მათგანზე ნეგატიურად აისახება. მაგალითად,* შრომის ბაზარზე ერთდროულად არსებობს პროფესიონალიზმზე მოთხოვნის დეფიციტი და პროფესიონალების დეფიციტი. *ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს ორი, ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი მოვლენა, სინამდვილეში, ურთიერთგამაპირობებელია:* პროფესიონალების დეფიციტი დამსაქმებლებს აიძულებს, რომ კვალიფიციური კადრები ქვეყნის გარეთ ეძებოს, რის გამოც, ქვეყნის შიგნით არსებული რესურსების მიმართ მოთხოვნა მკვეთრად მცირდება, *რაც, თავის მხრივ, პროფესიონალად ჩამოყალიბების მოტივაციას მინიმალურ ზღვრამდე ამცირებს და უარყოფითად ზემოქმედებს განათლების ბაზარზე, განსაკუთრებით, სწავლების მაღალ საფეხურებზე.*

- *განათლების ბაზრის აქტორების მნიშვნელოვანი ნაწილი ამჟღავნებს მკვეთრად სკეპტიკურ ან/და ნეგატიურ დამოკიდებულებას შრომის ბაზრის ზემოქმედების მიმართ, რაც ერთი მხრივ, პრობლემის არასათანადო გაცნობიერებით შეიძლება აიხსნას, მეორე მხრივ კი, – სოციალური ინერციით: ისინი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფ სოციალურ იერარქიაში თავს უფრო მაღალ საფეხურზე მდგომად მიიჩნევენ და ნაკლებად აქვთ იმის მოლოდინი, რომ „პროფესორმა მეწარმის ან კომერსანტისგან შეიძლება აიღოს კონსულტაცია იმის შესახებ, თუ რა უნდა ასწავლოს“.*

- *შესაბამისად, იკვეთება ნეგატიური დამოკიდებულება შრომის ბაზრის კვლევების მიმართ, რასაც თვითონ კვლევის მეთოდოლოგიის გაუცნობიერებლობაც აძლიერებს. პროგრამის ხელმძღვანელთა ნაწილი შრომის ბაზრის იმ მოთხოვნებს ასახელებს, რომლებიც, მათ მიზნობრივ სეგმენტში არ შედის (მაგალითად, IT–ს ერთ–ერთი წარმომადგენელი აპროტესტებს იმ ფაქტს, რომ იგი მაღალკვალიფიციურ კადრებს ამზადებს, შრომის ბაზარზე კი ძირითად საოფისე კომპიუტერული პროგრამების მცოდნეებზეა მოთხოვნა, რასაც „უმაღლესი განათლება საერთოდ არ სჭირდება“), ნაწილი აღშფოთებულია კურსდამთავრებულთა გამოკითხვის მოთხოვნით, რადგან მისი „პროგრამა ახალია და ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული“ და ვერ აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ ამ შემთხვევაში მან არა საკუთარი, არამედ სხვა პროგრამების კურსდამთავრებულები უნდა იკვლიოს, რომლებიც იმ კომპეტენციებით იქნებიან აღჭურვილნი, რასაც „ახალი პროგრამა“ ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევებში კომპეტენციათა კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან თუ პროგრამა იმდენად „ახალია“, რომ მის კურსდამთავრებულთა სავარაუდო კომპეტენციების დიდ ნაწილს შრომის ბაზარზე ანალოგი არ მოეძებნება, პირდაპირ ეჭვქვეშ დგება არსებულ შრომის ბაზარზე მათი საჭიროების საკითხი.*

- *განსაკუთრებული დეფიციტი შეინიშნება შრომის ბაზრის ტენდენციების კვლევის საჭიროების გაცნობიერებაში. პროგრამის ხელმძღვანელთა ის ნაწილიც კი, რომელიც ცდილობს კონსულტაციები მიიღოს შრომის ბაზრის აქტორებისგან, ამ საკითხს, პრაქტიკულად არ იკვლევენ, მაშინ, როდესაც მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სწრაფი პროგრესის შედეგად გუშინ ან დღეს დეფიციტური კომპეტენციები ხვალ შეიძლება საერთოდ არამოთხოვნადი აღმოჩნდეს.*

- *შესაბამისად, დაბალია უკუკავშირი შრომის ბაზრის აქტორების მხრიდანაც და ხშირ შემთხვევაში ისინი მწვავე საკადრო პრობლემებს განიცდიან მაშინაც კი, როდესაც ადგილობრივ შრომის ბაზარზე შესაბამისი კადრები არსებობს. შედეგად სიტუაციურად, ყველაზე უფრო კურსდამთავრებული ზარალდება. გრძელვადიან პერსპექტივაში კი სერიოზული პრობლემები ექმნება როგორც განათლების, ისე – შრომის ბაზარს.*

უმაღლესი განათლების მიმართ არსებული დამოკიდებულების ძირითადი ფაქტორები

- *უმაღლესი განათლება აღიქმება როგორც დასაქმების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა: თუ უსდ–ს დიპლომი არ გაქვს, ვერ დასაქმდები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თუ დიპლომი გაქვს დასაქმდები.*

- ამიტომ, მაღალი მოთხოვნა უმაღლეს განათლებაზე უფრო *სოციოკულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორებით* არის გაპირობებული (ცოდნა, როგორც თავისთავადი ღირებულება, პიროვნული განვითარების, სოციალური კაპიტალის გაფართოებისა და სოციალიზაციის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, სტუდენტური ცხოვრების მიმზიდველობა, „კარგი ოჯახის“ შექმნის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა და ა. შ.) ვიდრე – დასაქმების პერსპექტივასთან დაკავშირებული ფაქტორებით (იხ. გრაფიკი N3).

- შესაბამისად, მოთხოვნა უმაღლესი განათლების ხარისხისა თუ სწავლის პირობების მიმართ, საგანმანათლებლო ბაზარზე (აბიტურიენტები, სტუდენტები და მათი მშობლები) სწორედ ამ ფაქტორებს უკავშირდება და არა დასაქმების პერსპექტივას, რაც უკვე კურსდამთავრებულებისათვის ხდება აქტუალური.

- *ზოგადად, უსდ–სა და, მათ შორის, თსუ–ს მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელი ყველაზე აქტუალური ფაქტორია ხარისხის სტანდარტი, რაც გულისხმობს ეფექტურად დაგეგმილ, მოწესრიგებულ შიდა გარემოს, ცოდნის შეფასების ეფექტურ სისტემას, პრაქტიკულ სამუშაოებსა და სწავლების თანამედროვე ტენოლოგიებს* (იხ. გრაფიკი N1).

- ამით აიხსნება ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულებაც უსდ–ების შეფასებისას: *უსდ–ების მიმართ აბიტურიენტები, სტუდენტები და მათი მშობლები ბევრად უფრო ლოიალურები არიან, ვიდრე – კურსდამთავრებულები: თუ პირველთათვის ცოდნა ან დიპლომია ძირითადი ღირებულება, კურსდამთავრებულისათვის აქტუალური ხდება დასაქმება და როდესაც ხედავს, რომ უსდ–ს დიპლომი ან/და იქ მიღებული ცოდნა დასაქმების შანსებს ვერ უზრდის, ეუფლება იმედგაცრუება, რის შედეგადაც, ხშირად, დადებითი განწყობა იგივე ან უფრო მაღალი ხარისხის უარყოფითი განწყობით ეცვლება.*

განათლების ბაზარზე არსებული კონკრეტული სირთულეები:

- პრაქტიკული ცოდნის დეფიციტი;
- მატერიალურ–ტექნიკური ბაზის პრობლემები;
- ჭარბი საინფორმაციო დატვირთვა;
- პროფესიული ცოდნის დეფიციტი;
- სასწავლო პროცესის ძირითადი ხარვეზები (აკადემიური პერსონალის დაუინტერესებლობა, არა სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები, ლიტერატურის პრობლემა, სტუდენტთა მომსახურების პრობლემები, კურსდამთავრებულებისადმი გულგრილი დამოკიდებულება).

კონკურენტული გარემო

- *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი „იდეალური არჩევანის“ შემთხვევაში პირველ ადგილზე სახელდება* (იხ. გრაფიკი N2).

უმაღლესი განათლების მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები - განათლების ბაზრის მომხმარებლები

(აბიტურიენტები, მშობლები, სტუდენტები)

- ცოდნა, როგორც თავისთავადი ღირებულება
- პიროვნული განვითარება
- დიპლომი, როგორც სოციალიზაციის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი (რომელიც ჯერ–ჯერობით კვლავ ნაკლებად არის ასოცირებული რეალური ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტთან)
- სტუდენტური ცხოვრება
- სოციალური კაპიტალის გაფართოება (პერსპექტიული ნაცნობ–მეგობრები, „გავლენიან წრეში“ მოხვედრა)
- კარიერული წინსვლის მოლოდინი

უმაღლესი განათლების მიღება უმეტეს შემთხვევაში არაინფორმირებული არჩევანის – მიკრო და მაკრო სოციუმში არსებული სტერეოტიპების საფუძველზე ხდება:	*„ჩემი უმაღლესში ჩაბარება მე მგონი ჩემს დაბადებამდე იყო გადაწყვეტილი“;* *„საქართველოში 99% აქვს დიპლომი და ზოგს არა ერთი. საუბარი არც ყოფილა მიმელო განათლება თუ არა. ეს გადაწყვეტილება გაცნობიერებული არც მქონია. ის ჩაბეჭდილია ჩვენს ცნობიერებაში“* *„ეს ყველაფერი ალბათ ქვეცნობერად ხდება, ბაღში რომ მიდიან ბავშვები, ამბობენ რომ მერე სკოლაში უნდა წავიდნენ. ჩვენც ასე გავიზარდეთ, ყველამ ვიცით რომ ჯერ ბაღი, მერე სკოლა, მერე უმაღლესი და მერე სამსახურში უნდა ვიაროთ.*
უმაღლესი განათლება აღიქმება დასაქმების აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობად	*„დღეს ნასწავლი ადამიანი ძალიან რთულად პოულობს სამსახურს და უსწავლელი ხომ საერთოდ“*
ცოდნა, როგორც თავისთავადი ღირებულება	*„უნივერსიტეტში ჩაბარება ჩემთვის კარიერა არ ყოფილა. სადაც ვაბარებ აუცილებლად იმ განხრით შეიძლება არც ვიმუშაო. მიზნად მაქვს ინფორმაციის, ცოდნის მიღება, გონების*

	განვითარება. მას, რასაც ლექტორები მომცემენ, შეიძლება ჩემით ვერ მივაგნო“ *„უმაღლესის ღირებულება ჩემთვის პირველ რიგში, იყო ფუნდამენტალური ცოდნის შეძენა“*
დიპლომი, როგორც სოციალიზაციის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი	*„დღეს დიპლომი ძალიან საამაყოა მშობლებისთვის და ამასთანავე, საჭიროა სამსახურისთვის“* *„დიპლომი ჩემთვის ნიშნავს საკუთარი ადგილის მოძებნას ცხოვრებაში“*
დიპლომი ჯერ–ჯერობით, კვლავ ნაკლებად არის ასოცირებული რეალური ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტთან	*„ქართველი დიპლომის შოვნას ყოველთვის მოახერხებს. დასაქმების პრობლემას ისიც ართულებს, რომ დიპლომი ძალიან ბევრია, ყველას აქვს და კაცმა არ იცის რა უდევს თავში ადამიანს, რომელსაც ხელში დიპლომი უჭირავს“*
პიროვნული განვითარება	*„სწავლა აუცილებელია ჩემი აზრით. მაგრამ არა მარტო სამსახურის მოსაპოვებლად, ასევე საჭიროა, რომ ცხოვრებაში წინ წახვიდე და რამეს მიაღწიო, ვიღაც იყო ელემენტარულად. პიროვნება რომ იყო, უსწავლელი ადამიანი ძალიან ადვილი დასაყოლიებელია, ყველამ თავის ჭკუაზე ატაროს, მარტო დიპლომი არაა გადამწყვეტი, საერთოდ განათლებული ადამიანი უნდა იყო და შენი აზრი უნდა გაგაჩნდეს“*
კარიერული წინსვლის მოლოდინი	*„სწავლის პროცესში გიჩნდება უფრო და უფრო მეტი მოთხოვნები, გიჩნდება უფრო მეტი ამბიცია. ის მოთხოვნები, რომლებიც დღეს მაქვს წაყენებული საკუთარი თავის მიმართ, უნივერსიტეტის გარეშე არასოდეს მექნებოდა“* *„უკეთესი ცხოვრებისთვის არის საჭირო“...* *„უმაღლესდაუმთავრებელი ადამიანი ვერაფერს მიაღწევს“...* *„უმაღლესდაუმთავრებელი ადამიანი ცხოვრების კიბეზე მაღლა ვერ ავა“*
სოციალური კაპიტალის გაფართოება (პერსპექტიული ნაცნობ–მეგობრები, „გავლენიან წრეში“ მოხვედრა)	*„პრინციპში ვითომ დიპლომისთვის ჩავაბარე, მაგრამ უმაღლესმა მომცა კონტაქტები, რომლებიც მერე აღმოჩნდა ძალიან სასარგებლო და საინტერესო“*

უმაღლესი განათლების მიმართ დამოკიდებულების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები - შრომის ბაზრის ძირითადი აქტორები

(კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები)

- შრომის ბაზრის პრობლემები
- განათლების ბაზრის პროდუქტის არაადეკვატურობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
- განათლების ბაზარზე არსებული კონკრეტული სირთულეები:
  - პრაქტიკული ცოდნის დეფიციტი
  - მატერიალურ–ტექნიკური ბაზის პრობლემები
  - ჭარბი საინფორმაციო დატვირთვა
  - პროფესიული ცოდნის დეფიციტი
  - სასწავლო პროცესის ხარვეზები

შრომის ბაზრის პრობლემები: **დასაქმების პრობლემა მკვეთრად ნეგატიურად აისახება კურსდამთავრებულთა დამოკიდებულებაზე უმაღლესი სასწავლებლის მიმართ**	*„ დღეს რის მიხედვით შოულობენ სამსახურს მაინც გაუგებარია – შენი უმაღლესი არავის სჭირდება“* *„უმაღლესმა მხოლოდ დრო დამაკარგინა – სჯობდა რაიმე ხელობა მესწავლა და დავსაქმებულიყავი“* *„უმაღლესი ფაქტიურად გატყუებს – სანამ სწავლობ, გგონია, რომ შენი ცოდნა ვინმეს სჭირდება. გაწყვალებენ, გამოცდებს გაბარებენ ერთი სიტყვით „აგაგდებენ“, მერე ეძებ, ეძებ სამსახურს და გამოდის, რომ ეს შენი სწავლა არავის სჭირდება“* *“დღეს ნასწავლი ადამიანიც კი ძალიან რთულად შოულობს სამუშაოს”*
პრაქტიკული ცოდნის დეფიციტი	*„მე ვერ მომცეს ისეთი დონის ცოდნა, რასაც დღეს მაკლია პრაქტიკული ცოდნა“* *„დღეს საქართველოში ვერ ნახავ ისეთ უმაღლესს, რომელსაც დაამთავრებ და სამსახური რომც*

	იშოვო, მუშაობას შეძლებ. უმაღლესი პრაქტიკულ ცოდნას არ იძლევა – მუშაობას სამსახურებში ასწავლიან“ *„პრაქტიკა გინდა იმისათვის, რომ გამოცდილებას იღებ. პროფესიონალი ხდები საქმეში, რაც ნიშნავს იმას, რომ კარგად ვიცოდე ჩემი პროფესია, ჩემი საქმე“*
მატერიალურ–ტექნიკური ბაზის სირთულეები	*„დღეს უნივერსიტეტებში არ არის ისეთი ლაბორატორიები, რომ საქმის პრაქტიკულად შესწავლა შეძლო“* *„თანამედროვე აპარატურა ძალიან მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტებში კი არ არის. რომ ამთავრებ, პრაქტიკულად, საჭირო ტექნიკის მოხმარება არ იცი – სამსახურში უნდა ისწავლო“*
ჭარბი საინფორმაციო დატვირთვა	*„იმდენი წიგნები მაყიდინეს და იმდენი რამე ვიკითხე უაზროდ, რომ იქიდან ნახევარი არ მახსოვს“* *„პროგრამისტმა პოლიტოლოგია რატომ უნდა ისწავლოს? პოლიტოლოგიას ვსწავლობდი მეორე კურსიდან. იმის მაგივრად რომ მეორე კურსიდან პრაქტიკა დაეწყოთ“*
პროფესიული ცოდნის დეფიციტი	*„ერთი სემესტრი სწავლობ რაღაცას და მერე მას სხვა ანაცვლებს. ეს შეიძლება ზოგადი ცოდნისთვის კარგია, მაგრამ უმჯობესია იგივე დრო დაეთმოს ისეთ საგანს, რაც შენი პროფესიისთვის უფრო მნიშვნელოვანია“* *„სიმართლე რომ გითხრათ, თავიდან სულ სხვა მოლოდინით მივედი. პირველი ორი წელი ვსწავლობდი საგნებს, რომელიც საერთოდ არ მაინტერესებდა და ვფიქრობდი, სად არის აქ ფსიქოლოგია. მესამე კურსიდან დავიწყე სწავლა... მაგალითად: ჟურნლისტიკის შესავალი, სოციოლოგიის შესავალი, რომელიც საერთოდ არ მაინტერესებდა. ამის გამო, ავირჩიე მეორე სპეციალობა, რომელიც კიდევ უფრო არ მაინტერესებდა. მესამე კურსზე უკვე მქონდა შეხება ფსიქოლოგებთან და უკვე დავიბენი, იმიტომ რომ სულ სხვა მოლოდინი მქონდა და აღმოჩნდა, რომ ფსიქოლოგია სულ სხვა რაღაცა ყოფილა. თეორიას კი მასწავლიდნენ, მაგრამ ეს თეორია რჩებოდა წიგნების დონეზე. მე რომ გამოვდიოდი უნივერსიტეტიდან, ვერ ვხვდებოდი რაში უნდა გამომეყენებინა ეს“*
სასწავლო პროცესის ძირითადი ხარვეზები:	*„არიან ლექტორები, რომლის ლექციებსაც არ აცდენენ, მაგრამ ბევრი ისეთ შთაბეჭდილებას*

აკადემიური პერსონალის დაუინტერესებლობა, არა სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამები, ლიტერატურის პრობლემა, სტუდენტთა მომსახურების პრობლემები, კურსდამთავრებულებისადმი გულგრილი დამოკიდებულება	*ტოვებს, რომ სულ არ აინტერესებს რას ვისწავლით“* *„ყველა ლექტორს რომ გულისხმიერად აეხსნა ლექციები, გაცილებით მეტი მეცოდინებოდა“* *„გვასწავლიან როგორ უნდა ვაკეთოთ საქმე, მაგრამ თვითონ საქმეს არ გვასწავლიან. მაგალითად, გვასწავლიან როგორ უნდა დაიწეროს პროექტი, მაგრამ არ დაგვიწერია არცერთი პროექტი. ხვალ რომ მუშაობა დავიწყო, არ ვიცი, პროექტის დაწერას შევძლებ თუ არა“* *„არ არის ქართული ლიტერატურა. ინგლისური კი ვიცი, მაგრამ სხვა საქმეა გაგება და სხვა _ გააზრება“* *„ძალიან დიდ მასალას გვაძლევდნენ და არ იყო საკმარისი დრო, რომ წაგვეკითხა. შეიძლება მოგვესწრო კიდეც, მაგრამ მხოლოდ ერთი დღისთვის, რომ ნიშანი მიგვეღო. რომ ჩავაბარებდით, იმ დღესვე გვავიწყდებოდა“* *„თუ სტუდენტს პრობლემა შეექმნება, ადამიანი არ არის, რომ ზუსტად უპასუხოს. მე მგონი თვითონ კარგად ვერ ერკვევიან ახალ წესებში და კანონებში“* *„სტუდენტს რომ კრედიტი აკლდება, არავინ აფრთხილებს წინასწარ. როცა კითხულობ რაიმეს პასუხს არ გცემენ და საქმე რომ გაფუჭდება, მერე გვეუბნებიან აქამდე სად იყავიო“* *„უნივერსიტეტს რომ დაამთავრებ, მერე თითქოს არც კი გიცნობდნენო – არავის აინტერესებს სად მიდიხარ, რა გელის. რომ დაგჭირდეს, რეკომენდაციასაც კი არ გაძლევენ“* *„უნივერსიტეტი უნდა ინტერესდებოდეს რა ბედი ეწევა ადამიანს დამთავრების შემდეგ, უნდა ჰქონდეს კავშირი ყოფილ სტუდენტებთან“*

რაოდენობრივი ინფორმაცია

- *უმაღლესი განათლების მიღებას აპირებს გამოკითხული მოსწავლეების 96%. უმეტეს შემთხვევაში ამ სურვილის მიღმა დგას ცოდნის მიღების, ცხოვრებაში წარმატების მიღწევის, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ფორმირების, კარიერის განვითარების, პიროვნული დამოუკიდებლობისა და განვითარების, ასევე საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად ათვისების, მატერიალურად უზრუნველყოფის, ღირსეული ოჯახის შექმნის, ასევე დიპლომის აღების და კიდევ ბევრი სხვა მოთხოვნილება. თუმცა რეალურად პოტენციური სტუდენტების სეგმენტი იყოფა 6 ჯგუფად უმაღლესში სწავლის გაგრძელების მამოძრავებელი მიზეზების მიხედვით.*
- *ყველაზე მასშტაბური სეგმენტის [29,6] უმაღლესში ჩაბარების სურვილი იხსნება **სოციალური ინერციის** ფენომენით. ასევე მსხვილია **კონკრეტული სპეციალობის პრესტიჟულობის სეგმენტი** [20,7%]. **მოსწავლეების სეგმენტში ყველაზე მცირეა "კარიერის განვითარების" [10,5%] და ცოდნის მიღების [11,7%] მოტივაციური სეგმენტი.***
- *იმისათვის, რომ უმაღლესი განათლების ფუნქციური მნიშვნელობა და პრაქტიკულობა გაიზარდოს საჭიროა ზრუნვა არ მხოლოდ სასწავლო პროგრამების, მეთოდების, კადრების ხარისხის განვითარებაზე, არამედ სამიზნე ჯგუფების თვითგამორკვევაზე, პროფორიენტაციულ მიდგომებზე, და ზოგადად უმაღლესი განათლების ღირებულების ადეკვატურ გაცნობიერებაზე.*
- *მოსწავლეებს გაცილებით მეტად სწამთ უმაღლესში სწავლასა და შემდგომში დასაქმებას შორის კავშირის, ვიდრე სტუდენტებს და, მით უმეტეს, კურსდამთავრებულებს. მოსწავლეებშიც ამ ორ ცვლადს შორის კავშირი ფიქსირდება 61,4%–ში, მხოლოდ 6,59%–ს მოსწავლეების არ იზიარებს იდეას დასაქმებასა და უმაღლესში შეძენილ კომპეტენციებს შორის კავშირის შესახებ.*
- *მოსწავლეების სეგმენტს ზოგადად უფრო მრავალფეროვანი მოლოდინები აქვთ უმაღლესი განათლების მიმართ. მოსწავლეთა 85%–ს სჯერა, რომ უმაღლესის დამთავრების შემდეგ სპეციალობით დაიწყებს მუშაობას, რეალურად კურსდამთავრებულების მხოლოდ 18,7% მუშაობს თავისი სპეციალობით, 62,2% კი საერთოდ არ მუშაობს. მოსწავლეების 23% ფიქრობს დღეს რომ დაიცავს სადოქტოროს, კურსდამთავრებულების მხოლოდ 2,2%–მა შეძლო ეს. მოსწავლეების 67% გეგმავს სწავლის გაგრძელებას შემდეგ საფეხურზე, რაც რეალურად კურსდამთავრებულების მხოლოდ 13,9%–მა მოახერხა და ა.შ.*
- *დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეების სეგმენტში არსებული ამ პოზიტიური ენერგიის ადეკვატურად გამოყენების გზებს. სასურველია ხდებოდეს სტუდენტების მოტივაციური სეგმენტაცია უმაღლესში ჩაბარების შემდეგ და თითოეულ სეგმენტთან დიფერენცირებული მიდგომა. შეძენილი კომპეტენციის მიმართულებით, რა თქმა უნდა, ყველა ვერ დასაქმდება, მაგრამ სასურველია, სტუდენტ ახალგაზრდობაში მიღწევის მოტივაციის, მიზნის დასახვის და მიღწევის უნარის ფორმირების ხელშეწყობა ხარისხიანი სწავლების პროცესის პარალელურად.*

გრაფიკი N1

სკოლის მოსწავლეების 94.8% საშუალოს სკოლის დასრულების შემდეგ აპირებს სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში.

აპირებთ თუ არა საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში? [Valid Percent]

მოსწავლეები



მოსწავლეები

რა მიმართულებით ისურვებდით სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში?



МП

სტუდენტებისა და უკვე კურსდამთავრებულების სეგმენტში, იდეალურ არჩევნად სახელდება ძირითადად 3 სასწავლებელი და აქედან წამყვანი პოზიცია უკავია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტს. ამ სასწავლებელში მოხვედრა იქნებოდა იდეალური ვარიანტი მოსწავლეების 66,7%–სთვის და ამჟამად უკვე სტუდენტების 56%–სთვის. იდეალურ არჩევანი მოსწავლეების 20,3%–სთვის და ამჟამად სტუდენტების 21,8%–სთვის არის "იესემი", მოსწავლეების 17,8%–სთვის და სტუდენტების 20,2%–სთვის კი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გრაფიკი N2

რომელ უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრა იქნებოდა თქვენთვის იდეალური ვარიანტი? [I და II რიგის პასუხების პროცენტული განაწილება]



გრაფიკი N3

ფაქტორული ანალიზი



Career development
ცხოვრებაში წარმატების მიღწევა
გახდე კონკრეტული საქმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი
კარიერის განვითარების შესაძლებლობა
Personal development
დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბება
პიროვნული განვითარება
საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური ათვისება
Pragmatic approach
დასაქმების ალბათობის გაზრდა
იყო მატერიალურად უზრუნველყოფილი
საკუთარ ინტერესებში, მისწრაფებებში გარკვევა
Social inertia
მშობლების მოთხოვნა
სტუდენტობის გამოცდილების შეძენა
უმრავლესობა აბარებენ/აბარებდნენ ჩემს ირგვლივ და მეც ვაპირებ/დავაპირე
Prestige
კონკრეტული სპეციალობის პრესტიჟულობა
Knowledge
ცოდნის მიღება

გრაფიკი N4

თქვენი აზრით, რამდენად უზრუნველყოფს უმაღლეს სასწავლებელში შეძენილი კომპეტენციები, ცოდნა და პრაქტიკული უნარ–ჩვევები დასაქმებას, გთხოვთ შეაფასოთ 5 ქულიან სკალაზე, სადაც 1 არის სრულიად ვერ უზრუნველყოფს და 5 – სავსებით უზრუნველყოფს?

რესპონდენტის კატეგორია	სრულიად ვერ უზრუნველყოფს	მეტ–ნაკლებად ვერ უზრუნველყოფს	ნაწილობრივ უზრუნველყოფს, ნაწილობრივ ვერ	საკმაოდ უზრუნველყოფს	სავსებით უზრუნველყოფს	არ ვიცი
ზოგადი	3,5%	8,25	29,25	29,5	23,25	6,25
მოსწავლე	0,9%	5,7	24,6	34,1	27,2	7,5
სტუდენტი	3,8%	7,6	31,4	28,8	22,9	5,5
კურსდამთავრებული	7,0%	12,6	33,9	23,5	17,8	5,2

quality standard
ეფექტურად დაგეგმილი, მოწესრიგებული და სუფთა შიდა გარემო, ინტერიერი
ცოდნის შეფასების ეფექტური სისტემა
პრაქტიკული სამუშაოები
სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები
accordance
სტუდენტის პროფორიენტაციის გათვალისწინება განათლების მიმართულების შერჩევამდე
სასწავლო პროგრამის ორიენტირებულობა მხოლოდ კონკრეტული სპეციალობისათვის საჭირო ცოდნებისა და უნარ ჩვევების მიხედვით
practical sense
სწავლების ხელმისაწვდომი ფასი
დასაქმების გარანტია
modernization
საზღვარგარეთ სწავლების პრაქტიკა
თანამედროვე სასწავლო პროგრამები
skilled personnel
კვალიფიციური კადრები/პედაგოგები

გრაფიკი N5



კვლევის აუდიტორიის ასაკობრივი განაწილება



გრაფიკი N6



დასაქმების სფერო



დასაქმება



დასაქმება რესპონდენტის სტატუსის ჭრილში



მფ

საინფორმაციო წყაროების ტიპი, საიდანაც აუდიტორია იღებს ინფორმაციას უმაღლესი სასწავლებლების შესახებ

გრაფიკი N7